



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გბირიშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე

გბირიშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე [26. I (8. II). 1902, სოფ. ვაჭირი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპ-ი, - 14. IX. 1972, თბილისი], ქირურგ-უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1950), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962).

1928 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1939-41 და 1946-72 განაგებდა საქართვე. ცენტრ. კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიის განყ-ბას. 1941-46 მუშაობდა ერთ-ერთი საევაკუაციო ჰოსპიტალის მთავარ ქირურგად. 1966-72 იყო უროლოგთა რესპ. სამეცნ. საზ-ბის თავ-რე. უროლოგიაში შემოიღო კვლევის ელექტროფიზიოლ. მეთოდი, თირკმლის ფუნქციის შესასწავლად გამოიყენა იზოტოპები, სრულყო ბოგიერთი უროლოგიური ქირურგ. ოპერაცია. მისი შრომები ეძღვნება თირკმლის კენტოვანი დაავადების, საშარდე გზების ტუბერკულოზის, თირკმლის გადანერგვისა და სხვა საკითხებს. მისი სახელობისაა სიღნაღის მუნიციპ-ის ცენტრ. საავადმყოფო.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: შარდ-სასქესო ორგანოების სიმსივნეები, თბ., 1958 (ყდაზე: 1959).

ლიტ.: ო ნ ი გ ა ვ ა თ., ალექსანდრე გბირიშვილი, თბ., 1973.
